ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 297

“ 19 ” ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 127² მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 ივნისის №25.984.1102 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის საკითხზე ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმოქმედებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

შეთანხმება
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/კ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი _____/ _____/ 2025 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში: სააგენტო/მეაღნაგე), წარმოდგენილი [●] მიერ;

მეორე მხრივ, შპს „ალმა“ (ს/კ: 204873388) (შემდგომში: მოაღნაგე), წარმოდგენილი [●] მიერ.

შემდეგში ერთობლივად წოდებული, როგორც: მხარეები,

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/კ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს დაიდო ხელშეკრულება „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ (მასში 2023 წლის 29 სექტემბერს და 2024 წლის 27 დეკემბერს შესული ცვლილებების გათვალისწინებით, შემდგომში: ხელშეკრულება);

ვინაიდან, მოაღნაგის 2025 წლის 11 ივნისს №11-06 წერილით (სააგენტოში რეგისტრაცია: №19/01251621276-61) მოთხოვნილია ხელშეკრულებაში რიგი ცვლილების შეტანა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულებების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში: შეთანხმება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების 5.1.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.1.3. მოაღნაგე ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოს უძრავ ქონებაზე ან მის მიმდებარედ არსებული ხიდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დემონტაჟი, თითოეული და ყველა ნაგებობის მშენებლობის დასრულება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ შესაბამის ვადებში. ამასთან მოაღნაგე ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღება: ხელშეკრულების დანართი №1-ის მე-13 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე - მათი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული შესაბამისი ვად(ებ)ის ამოწურვიდან 18 (თვრამეტი) თვის ვადაში, ხოლო ყველა სხვა უძრავი

ქონებაზე - მათი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული შესაბამისი ვად(ებ)ის ამოწურვიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში."

2. მოაღნაგე ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე შეთანხმების საფუძველზე შესული ცვლილებების რეგისტრაცია.

3. ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, შეთანხმების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოაღნაგეს დააკისროს ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

4. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

5. ხელშეკრულების სხვა პირობები, რომლებიც არ იცვლება შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას.

6. შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან. შეთანხმების თითო ეგზემპლარი რჩება მხარეებს, ხოლო ერთი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

ხელმოწერები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო [●]	შპს „ალმა" (ს/კ: 204873388) [●]
_____	_____